გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

2011 წლის 9 თებერვალი

ქ. გურჯაანი

ქ. გურჯაანის ტერიტორიული ზონირების, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ფარგლებში სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ქ'' ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ'' 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2010 წლის 28 იანვრის №1 დადგენილება ,,ქ. გურჯაანის ტერიტორიული ზონირების, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ფარგლებში სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ''.

2. განისაზღვროს ქ. გურჯაანში ერთსაფეხურიანი ზონირება სამ ზონად.

2.1. ცენტრალური ზონა – შემოისაზღვრება შემდეგი ქუჩებით: თავისუფლების ქუჩა №1-დან 20-ის ჩათვლით, ზუგდიდის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა ახმეტელის ქუჩის გადაკვეთამდე, სიღნაღის ქუჩა ფარნავაზის ქუჩამდე, ელ.სადგურის, თამარ მეფისა და წმინდა ნინოს ქუჩები.

2.2. შუალედური ზონა – შემოისაზღვრება შემდეგი ქუჩებით: რუსთაველის ქუჩა ფურცელაძის ქუჩის გადაკვეთამდე, თავისუფლების ქუჩა №21-დან ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, ვაჟა-ფშაველას ქუჩა ახმეტელის ქუჩის გადაკვეთიდან ქუჩის ბოლომდე, სიღნაღის ქუჩა მაიაკოვსკის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე, ფურცელაძის, მარჯანიშვილის, დუმბაძის, ტაბიძის, ნონეშვილის, თაყაიშვილის, ერეკლე II–ის, ბარათაშვილის, თბილისის, 9 აპრილის, ჭავჭავაძის, ლეონიძის, ბესიკის, საბჭოს, წერეთლის, ტაბიძის, სააკაძის, ჩუმლაყის, კარდენახის, გაბიტაშვილის, გოგოლის, მაჩაბლის, ენგელსის, სტადიონის, შრომის, გოგებაშვილის, ზიარის, გორგასლის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, ნავთისხევის, რ. თაბუკაშვილის, არაგვისპირელის, ბალახევის, თელავის, სარაჯიშვილის ქუჩები.

2.3. პერიფერიული ზონა – მიეკუთვნება ქალაქის დანარჩენი ტერიტორია ადმინისტრაციულ საზღვრამდე: ბერიტაშვილის, ფიროსმანის, ნუცუბიძის, ჯავახიშვილის, ყაზბეგის ქუჩები. ის ქუჩები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ჩამონათვალში, ჩაითვალოს პერიფერიულ ზონაში.

3. ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I T L შეადგენს:

3.1. ცენტრალური ზონისათვის 1,3-ს;

3.2. შუალედური ზონისათვის 1,0-ს;

3.3. პერიფერიული ზონისათვის 0,7-ს.

4. დადგინდეს მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი K=50.

5. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული ცენტრის მაკრომდებარეობის ინდექსი განისაზღვროს L M G=0,45.

6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1კვ.მ. დადგენილი წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგენს C=0,24.

7. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იანგარიშება ფორმულით:

CN = LMg X I T L X C X K

7.1. CN – არის ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი;

7.2. LMg – არის დასახლების მაკრომდებარეობის ინდექსი;

7.3. I T L – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი;

7.4. C – არის მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი;

7.5. K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი.

8. დადგინდეს მიწის ნორმატიული ფასი 1 კვ.მ. ქალაქ გურჯაანისთვის:

8.1. ცენტრალური ზონა – 7,02 ლარი

8.2. შუალედური ზონა – 5,40 ლარი

8.3. პერიფერიული ზონა – 3,78 ლარი.

9. მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ გურჯაანის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ით და შეადგენს 2,7 ლარს.

10. დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ გურჯაანის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 25%-ით და შეადგენს 1,35 ლარს.

11. დასახლებათა შორის არეალებში გამავალი ,,საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს: ქალაქ გურჯაანის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ით და შეადგენს 2,7 ლარს.

12. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

თავმჯდომარის მოადგილე ა. სირბილაშვილი